ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟას ღვაწლი შირაქის ახალშენის გაშენებაში

შირაქის ველებერთელა ველი ჯერ კიდევ კავკასიაში რუსეთის თვითმპყრობელობის გაბატონებამდე რამდენიმე წლის წინათ საძოვრად ჰქონდათ თიანეთისა და დუშეთის ყოფ. მაზრის მთებში მოსახლე ფშავლებს, თუშებს, გუდამაყრელებს და სხვ.[1] რუსეთის თვითმპყრობელურმა მთავრობამ პირველად თავისუფალ სარგებლობაში, ყოველგვარი ნებართვებისა და გადასახადების გარეშე, დუტოვა შირაქი მთიელებს, ხოლო 1862 წლიდან შირაქის ზოგიერთ ნაწილს დაადვა გადასახადი, რომელიც დესეტინაზე ორი შაუოს არ აღეჭატებოდა.

მიუხედავად იჯარის დადებისა, მთიელი ხალხი შირაქის სარგებლობას ხელს არ ანებებდა, რადგანაც მათ ერთადერთ მასაზრდოებელ წყაროს ია შეადგენდა და ყოველთვის ცდილობდნენ მის შენარჩუნებას.

1889 წ. მთავრობამ განიზრახა შირაქის ზოგიერთ ადგილში რუსების დასახლება. ეს რომ მეცხვარე თუშებმა და ფშავლებმა გაიგეს, ფეხზედ დადგნენ, რუსები რომ გადმოსახლდნენ, ჩვენ გუდა-ნაბადი უხდა ავიკრათო.

მღელვარებამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მთავრობა იძულებული გახდა ეს საკითხი დროებით შეეჩერებია, მაგრამ მთიელები ფიქრობდნენ ადრე თუ გვიან შირაქში გარეშე ხალხს დაასახლებენ და ამიტომ გადასწყვიტეს, შირაქის ველები უმალ მათ დაეკავათ. ამ მიზნით 1900 წლიდან, ყოველგვარ ნებართვის გარეშე, თანდათანობით იწყეს შირაქის ყველაზე კარგ ჩრდილო ნაწილში, დღევ ნდელ „ქედში“ დასახლება, სადაც გაუშენებიათ სამი სოფელი: პირველად „ზემო და ქვემო ქედი“[2], და ბოლოს მათ შირის მდებარე

---

[1] საზამთრო საძოვრებად გამოყენებული იყო მდ. იორისა და ალაზნის მიდამოები, ხოლო სხვა დროს შირაქის ზემო ნაწილი.

[2] ახლად გაშენებულ სოფლისათვის თანდილა ხარხელაურს მოუნდომებია თავის სახელის „თანდილას“ დარქმევა და საამისოდ სოფლისათვის ასი მნეთი შეუწირავს. ვაჟას სასტიკად გაილაშქრა თანდილას წინააღმდეგ და მოითხოვა სოფელს მისი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით „ქვემო ქედი“ რქმევოდა, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„არხილო“. ამ საქმეს მეთაურობდა ვაჟა-ფშაველა, რომელიც თუშ-ფშაველების რწმუნებულად ითვლებოდა.

როგორც გადმოგვცეს, პირველად დავით ურჯუკაშვილი დასახლებულა, ხოლო მის შემდეგ, სულ მოკლე დროში, 700—800 კომლი გაშენებულა. მობინადრეებმა, უფრო კი ფშავლებმა, ხელი მიჰყვეს მიწის დამუშავებას და მოსავალსაც კარგს იღებდნენ.

1905 წ. რევოლუციის დროს მთიელებმა ისარგებლეს მომენტით და შირაქში გადმოსახლებას მასობრივი ხასიათი მისცეს, მაგრამ რეაქციის პერიოდში, მდგომარეობა შეიცვალა. 1906 წ. მთავრობამ შირაქში გადმოსახლება შეაჩერა [1], ხოლო დასახლებულებს ჯერ უკან დაბრუნდება მოუნდომა, მაგრამ რაკი ვერ მოახერხა, შემდეგ მათი შირაქიდან ჭიაურში გადასახლება სცადა. ასე რომ ახალშენთა მდგომარეობა საფრთხეში იმყოფებოდა. საჭირო შეიქნა მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა, რათა ქედელები თავის ახალ ბინაზე დაეტოვებიათ.

ვაჟა ჩვეულებრივი ენტუზიაზმით შეუდგა საკითხის მოგვარებას და ზოგიერთთა დახმარებით მიზანსაც მიაღწია, ქედელები ისევ თავიანთ ახალ ბინაზე დასტოვეს.

მაგრამ ამის შემდეგ მეორე არასასიამოვნო ამბავმა იჩინა თავი. 1907 წ. მიწათმოწყობის საქმეში ფშავლებსა და თუშებს შორის ჩამოვარდა უთანხმოება.

თუშები წინააღმდეგი იყვნენ კარგ ადგილებში მოსახლეობის დამკვიდრებისა, რადგანაც ამით საძოვრების არე მკირდებოდა, ხოლო ფშავლები ამის წინააღმდეგ წავიდნენ. საქმემ იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ თუშებმა საკითხის მოსაგვარებლად თავის რწმუნებულად ციხკარაშვილი აირჩიეს, ხოლო ფშავლებმა ვაჟა-ფშაველა და საქმეს ოფიციალური მსვლელობა მიეცა.

ტფ. გუბერნატორი მეფის მოადგილის კანცელარიას ამ უთანხმოების მიზეზისა და შედეგის შესახებ 1910 წ. 3 თებერვალს შემდეგსა სწერდა:

„Все эти грузино-горские племена (Тушины, Пшавы, Мохевцы Гудамакарцы и др.), ведут только кочевое скотоводство, других

[1] ამ საქმის შესახებ ერთ-ერთ თავის წერილში ვაჟა სწერდა: „შირაქში გადასახლებაც შეჩერდა, რაიც დიდ უკმაყოფილებას ჰბადებს ხალხში. დიაღ, შეჩერდა მთავრობის განკარგულების წყალობით: ვინც დასახლდა, ისიც მეტია, სხვას ველარ მივცემთ ნებას დასახლებისაო... ამ სხვებმა რაღა დააშავეს, ალაჰმა უწყის ახლად დასახლების მსურველთ რადღა უკეტავენ შირაქის კარებს, ეშმაკმა უწყის!“ („ამირანი“ № 95, 1908 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

отраслей хозяйства у них не имелось и не имеется по настоящее время. Разумеется, беднота, не имевшая возможности кочевания оставалась дома, но она находила выход в обслуживании военно-грузинской дороги (горцы Душетского уезда), откуда спрос на их работу до проведения Ростово-Баладжарской железной дороги, был велик; это был единственный путь Империи к Закавказью; сотни тыс. руб. шли на поддержание сего тракта и поэтому для бедноты грузино-горцев был источник пропитания. За последнее время беднота, лишившись этих доходов, принуждена была вспомнить о правах своих на ширакские пастбища, узаконенные и русским правительством, предоставившим пастбища по закону 84 г. не отдельным лицам, но целым селениям и обществам. За неимением скота эти горцы пришли к мысли эксплоатировать пастбища, им отведенные, другим путем, а именно: занялись хлебопашеством, сначала без переселения, а только временными приходами за сотни верст, только для распашки и для снятия урожая, а с 1900 года, некоторые начали строить землянки и устраиваться в степи, признавая неудобным и непосильным движения в год два раза из Тионетского и Душетского уездов в Ширакскую степь и обратно. С 1904 и в особенности 1905 года число выселившихся увеличилось и на Ширакской степи появились на ряду с беднотой, имеющей право на пастьбу, другие лица из горских селений, не вошедших в состав 118 сел., но гонимых нуждой также, как и первые.

За это время грузино-горцы 118 сел. уже не удовлетворялись отведенными им 112 тысячами десятин, они, с самого начала признания права за Закатальскими и Самурскими лезгинами и Эльдарскими татарами по закону 84 года, на остальные, сверх 112 тыс., 55 тыс. десятин, за цену на много превышающую наемную цену, заарендовали для себя и так как и этого оказалось мало на 118 сел., пришлось перейти в пределы Елисаветпольской губернии, лежащей на границе Ширакской степи, где арендовывают земли у частных лиц, Шахмалиевых Султановых и других. Нужда в пастбищных землях у признанных правительством 118 сел. настолько велика, и эта потребность настолько мало удовлетворяется, что по мнению составителя записки о хозяйственном исследовании Ширакской степи, составленному по предложению Уполномоченного Земледелием и Государственных имуществ в 1907

ეროვნული ბიბლიოთეკა

году, в случае нахождения свободных земель для пастбищ на первом плане удовлетворены должны быть опять таки грузины-горцы, единственным источником существования которых является скотоводство.

Заселение маленькой части степи, вызвало целое волнение среди кочевников; администрации пришлось употребить громадные усилия, чтобы не вызвать столкновения между кочевниками, свято охраняющими свое право пастьбы тушинами и насильственно поселившимися, перешедшими на земледельческую культуру, пшавцами и др. горцами. Весь 1907, 1908 год пошли на то, чтобы урегулировать вопрос поселения без всякого кровопролития. Заседали комиссии, под председательством члена присутствия, затем под личным председательством Тифлисского губернатора, с участием старшего производителя работ Скибицкого, вызывались поверенные всех заинтересованных обществ в гор. Тифлис, были выезды на место, составлена перепись поселившихся и в конце концов пришли к следующему результату: ходатайствовать об изятии из пастбщиных мест 6000 дес., на которых образовалось два селения, причем одно сел. в Пшавской части, а другое в Тушинской; пшавцы, как нарушившие право пастьбы, должны из своей доли выделить новоселам, а тушины согласившись на выделение в их части, поставили ребром вопрос о зачете уходящих из рук земель за счет всех кочевников Ширакской степи. Сверх того тушины потребовали, чтобы между этими двумя селениями образовавшимися на западной и восточной границах из пастбищных мест по хребту „Кеды", идущему параллельно с рекой Алазанью, на протяжении 10-12 верст было оставлено $^2/_3$ пустого места для пользования специально тушин, необходимого им, как выход к реке Алазани, единственному водопою для скота, пасущегося на Больших Шираках.

(საქ. ცენტრარქივის ფონდი 88, საქ. № 309 ფ. 44—48.)

თუშებსა და ფშავლებს შორის დავამ დიდხანს გასტანა. 1913 წ. ამ საქმის შესახებ გაზ. „სახ. გაზ." 306 №-ში ვაჟა შემდეგსა სწერდა: „წელს 29 ივლისს, მიწის მომწესრიგებელ კომისიას გამოუცხადეს თუშების რწმუნებულებმა: არხალოს კალოეები აჰყარეთ და ქვემო-ქედში გადაასახლეთო, წელს შირაქში თიბვაც აღუკრძალეს ქედელებს, თორმეტი თუმანი გათიბულისა გადაახდევინეს და ზარალი თითქმის 3 ათასი თუმნისა მიაყენეს. ყარაულები დააყენეს მთელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირაქში და ხალხს სამუშაოდ აღარ უშვებდენ და რომ ზოგიერთების კეთილგონიერება არ მოჰშველებოდა ამ დროს, შესაძლებელი იყო სისხლის ღვრაც მომხდარიყო, ძმას—ძმის სისხლი დაექცია, მტერი გაეხარა, ხოლო მოკეთე აეტირა.

თუშების ინტელიგენტები ბლომად მოეპოვებიან და რატომ არ ჩააგონებენ თავისიანებს, რომ ამგვარ საქციელს შეიძლება ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვეს—შეიძლება შირაქი ორივეს ხელიდან წაუვიდეს და სხვა დაეპატრონოს. გარდა ამისა, ისიც მოსალოდნელია, ყველა მონაწილემ კომლეური გაყოფა მოითხოვოს შირაქისა. ამ შემთხვევაშიაც თუშები მხოლოდ წააგებენ და ვერაფერს კი მოიგებენ და ეხლა თუ ნახევარზე მეტს თავად სარგებლობენ, მაშინ მოუნდებათ დასჯერდნენ ერთ მეოთხედს ნაწილს შირაქისას, თავიანთ ხვედრს. ეხლანდელი შევიწროება მაშინდელთან შესადარებელიც არ იქნება... როცა თუშებს ჰკითხავ ამ უკმაყოფილების მიზეზს, ისინი სწორე პასუხს არა დროს არ მოგცემენ და ასახელებენ: ეს გზა არა გვაქვს ცხვრის გასატარებელი,—ეს კიდევ მატყლის დასაწყობის და სხვა და სხვ; შირაქშიაც რომ ალაგი ვერ იპოვოს კაცმა მატყლის დასაწყობად ეს იმასა ჰგავს, ზღვაში ჩავარდნილი ადამიანი უწყლობას ჩიოდეს, ან გზას ვინ დაუჭერს, პირიქით, ერთი გზის მაგივრად ორი და სამი გზა აქვთ. მიზეზი სულ სხვაა: ჭირივით ეჯავრებათ მხვნელ-მთესველი ბინადარი ხალხი და სხვა რომ ვერაფერი მოუგონიათ ამ საწყალი ხალხის დასაღონებლად, „დოს მარილი აკლიაო“, ამას-ღა გაიძახინ თავიანთ მოქმედების გასამართლებლად.... ეს დიდი უსამართლოებაა და ეს უსამართლობა თუშების შეგნებულ ნაწილს ესმის, ხოლო საწყინო ის არის, უმრავლესობას არ შეაგნებინეს ესევე და რატომ არ შეაგნებინეს თუ იცით? ვერ შეაგნებინეს იმიტომ, რომ თვით თუშთა შორის არ გამოლეულა „ისეთი ადამიანები, რომელნიც სრულიად წინააღმდეგს ურჩევენ ხალხს და აბრიყვებენ, თანაც ინტელიგენტის სახელს ატარებენ“...

ამ ნიადაგზე ვაჟას არა ერთხელ მოუხდა დავა თუშების რწმუნებულ ცისკარაშვილთან, რომელიც ვაჟას პეტერბურგის სტუდენტობის დროიდან კარგი მეგობარი იყო. დავამ დიდხანს გასტანა. 1913 წ. ამ საკითხის მოსაგვარებლად ქედელებს მომრიგებელი მოსამართლეც კი ეწვია.

ფშავლებმა სასწრაფოდ დეპეშით გამოუძახეს ვაჟას[1]. მომრიგებელმა მოსამართლემ 3 დღის განმავლობაში იძია საქმე. ვაჟას კრინ-

1. ვაჟას დეპეშა თიანეთში მიუღია რევაზ გოჯიაშვილს, ამ დროს ვაჟა ტფილისში ყოფილა. გოჯიაშვილს დეპეშითვე უცნობებია ტფილისში ვაჟათვის და ვაჟაც სასწრაფოდ წასულა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიც არ დაუძრავს ამ საკითხის შესახებ. ბოლოს მომრიგებელ მოსამართლემ საერთო კრებაზე გამოუცხადა ფშავლებს, რომ სხვა კაცი აერჩიათ რწმუნებულად, რადგან მათი რწმუნებული არავითარ მონაწილეობას არ იღებს. მაშინ ვაჟამ დაიმკლავა ჩოხ ს სახელოები, ავიდა ტრიბუნაზე, და უთხრა მოსამართლეს: მე რომ სკამზე ვმჯდარვარ, შენ ის თვალით არ გინახავს და ვერც ნ ხავ, ამ ქალალდებს რომ სწერთ და ხალხს აღელვებთ, განა მეც ასე მომატყვილებთ? მართალია, ცალი თვალი გაფუჭებული მაქვს, მაგრამ მხედველობა არ მაკლია. ჩოხაზე კი ნუ მიყურებ, შუბლში შემხედეო, ძიუბრუნდა ციხკარ შვილს და უთხრა: „პროკურორის კანცელარიაში რაც დღე დაგმართე, ისაზე უარესს გიზამ ახლაო, მომრიგებელ-მოსამართლე ბატკნების მოსამართლეა და არა ხალხისო. ხალხს ეკუთვნის ცხვარი და არა ცხვარს ხალხიო“.

ამის შემდეგ მოწინააღმდეგეებმა პრესით დაიწყეს პირადად ვაჟას წინააღმდეგ გამოსვლა. 1914 წ. „ხმა კახეთისაში“ „მეთვალყურეს“ მოუთავსებია ვაჟას შესახებ ყალბი ცნობა, თითქოს ვაჟას ქედელებმა დაავალეს საძოვარი მინდვრის გამოტანა და საამისოდ ძას 1000 მანეთი მისცესო, ვაჟამ არა თუ გააკეთა ეს საქმე, არ მედ ამის შემდეგ თვალით არ მოჩვენებია ქედელებსო. ეს ამბავი ვაჟამ კერძო წერილის საშუალებით გაიგო ქედელებისაგან და „სახალხო გაზეთის რედაქციას საპასუხო წერილი მისწერა. ეს წერილი საყურადღებო დოკუმენტს წარმოადგენს შირაქის ახალშენის გამართვისა და ამ საქმეში ვაჟას როლის შესახებ, რისთვისაც მოგვყავს მთლიანად:

დაზვიანებული პასუხი

(ღია წერილი)

ბ. რედაქტორო!

ისეთ ადგილას მარგუნა ბედმა ცხოვრება, რომ არ შემიძლიან, ადგილობრივი პირობებისა გამო, წესიერად ვადევნო თვალ-ყური ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს: დაშორებული საზოგადოებას, მოკლებული ვარ აგრეთვე ნაცნობ-მეგობრებთან პირადად შეხვედრას, საშუალებას იმათგან მაინც გავიგო საჭირო საყურადღებო ცნობა ჩემს შესახებ ან საზოგადო ხასიათისა, რათა შამეძლოს ხმის ამოღება, გამოხმაურება. დასამტკიცებლად ამისა თქვენს ყურადღებას მივაქცევ შემდეგ მოვლენას: გაზეთ „ხმა კახეთისაში“ ივლისში, ამ 1914 წ.

№ 169 დაბეჭდილია ყალბი ცნობა ჩემზე ვინმე „მეთვალყურე“ სი. ხომ კარგად მოგეხსენებათ, მრავლად მოიპოვებიან ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში ისეთი დევ-გმირები—ვაჟა ფშაველეებზე გალაშქრებით თვალსაჩინოდ რომ ჰყოფენ თავიანთ პიროვნებას.

აი ეს ქვეყნის გულშემატკივარი რას მოუთხრობს ჩემზე მკითხველებს. მოგვყავს სიტყვა-სიტყვით: „ყველა ყველა არის და ის კი ვერ გაგვიგია, რით ავხსნათ ის მოვლენა, რო ჩვენს მთის მგოსანს ვაჟა ფშაველას 1913 წ. ჩამოურთმევია ქედელებისათვის 1000 მანეთზე მეტი ფული, დაჰპირებია მინდვრის გამოტანას, წასულა. ქედელები ჩივიან—არ ვიცით ის კაცი ცოცხალია თუ მკვდარიო—მე არა მჯერა, ვაჟამაც ეს ფული მუქთად ჩაუტაროს ქედელებს, იმან ხომ კარგად იცის მათი გაჭირვება“.

ამ გულმტკივნეულობას კორესპონდენტი შემდეგის გოდებით ათავებს: „კარგი ხნის უნახავი ქედი კიდევ ვნახე, მაგრამ რა, დაჩაგრული გული უფრო დამეჩაგრა, როცა მიამბეს ვაჟა-ფშაველას დაუბრუნებლობა“.

სწორედ ოთხი თვის შემდეგ-ღა გავიგე ამ წერილის შინაარსი, გავიგე თვით ქედელების პირით, მათ მიერ გამოგზავნილი წერილის წყალობით, რითაც მატყობინებდენ თავიანთ გაჭირვებას და ახალ საქმეს მავალებდენ.

გაზ. „ხმა კახეთის“ მკითხველი ხმის ამოუღებლობას ჩემის მხრით სიმტყუნეში ჩამომართმევდა. დღეს შემთხვევა მომეცა მკითხველს საქმის ვითარება გავაგებინო.

„მეთვალყურეს“ ეტყობა ისიც კი არა სცოდნია მე რისთვის ვეყავი ქედელებისაგან მოწვეული და სხვა. რა უნდა მოვსთხოვოთ?

რა შუაშია აქ „მინდვრის გამოტანა?“. მინდორი ქედელებმა დაიჭირეს, როცა ქედში დასახლდენ. ეს მოხდა 1905-6-7 წ. როცა მეკვემურობა გამართეს, ფაქტიური მფლობელები შეიქმნენ ქედისა, მაშინკე მინდორი გამოტანილი გახლდათ. მეორედ დავალება ვაჟა-ფშაველასათვის მინდორი გამოგვიტანეო—საჭირო აღარ არის. ამაზე შარშან ხმა-კრინტიც არ დაუძრავს არავის. მართალია, ერთხანად მთავრობამ, როცა რეაქცია დაიწყო, გაჩაღდა და აქეთ-იქით ნაპერწკლების სროლა დაიწყო, მოიწადინა ქედელების აყრა და ისევ მთებში გადაყრა, მაგრამ ასეთი ნაბიჯი უხერხულად სცნო და უკან დაიხია, მფარველად შეგნებული ქართველები ჰყვანდნენ, ხოლო მოხელეთა შორის ლოზინო-ლოზინსკი და თავ. ჯორჯაძე. პირველი გუბერნატორად, მეორე კი მომრიგებელ შუამავლად ნამყოფი. და უკანასკნელს დიდი ღვაწლი მიუძღვის შირაქში ქედელების დამკვიდ-

ვაჟა-ფშაველა-ლეო და დათიკო ციხკარაშვილებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების საქმეში. დასახლებით ქედელები, რა თქმა უნდა, არც თავ. ჯორჯაძეს და არც ლოზინო-ლოზინსკის არ დაუსახლებია — მით უმეტეს მეთვალყურეებს; ეს უკანასკნელნი უფრო დიდებულს, საშვილისშვილო საქმეს აკეთებდენ, ძმაზე ძმას უსისინებდენ, — ძმას ძმას აკვლევინებდენ, ერთის სიტყვით, სახელოვნად, ნაყოფიერად — მოღვაწეობდენ და, აკი იპიტომაც შეჰრჩათ ხელში დიდებული საპნის ბუშტი.

ქედში კი მთის ხალხის ჩამოსახლებით დიდი საქმე გაკეთდა, მეორე საქართველო შეიქმნა თითქმის. ვისაც-კი ჩვენგან იოტის ტოლა შეგნება აქვს, სიყვარული თავის ხალხისა, ამ ფაქტს უნდა სიხარულით ეგებებოდეს. საუბედუროდ, ყველა არ მიეგება სიხარულით და ზოგიერთი ძოხელე ქართველთაგანი სწორედ ავაზაკურად ეპყრობოდა ქედელებს. უწოდებდა მ ოძალეებს (თავის ნებით დასახლებულთ), ყვლეფდა, ჭლევრავდა და ბევრი გადმოსახლებული იძულებული გახდა ისევ მთაში დაბრუნებულიყო. ჩვენდა საუბედუროდ, ზოგიერთი მოხელე დღესაც ამ გზას ადგია, ხოლო არ ვიცი ამისთანა ქართველმა როგორ უნდა ატაროს ქართველის სახელი? შარშან მკათათვეში რამდენიმე წერილი მივიღე ქედიდან; მთხოვდენ იქ ჩასვლას; ბოლოს წერილებს კაციც მოჰყვა, სახელდობრ, ბაზიერ ბაიაშვილი; ამან მომიტანა 30 მან. საგზაო ფული და თითქმის ძალი-ძალად წამომიყვანა — ეგები რამ გვიშველოვო[1]. რისთვის, რა საქმეზე? აი სწორედ ამაზე წერა და საუბარი მეზარება. მეზარება, რადგან საქმეს ძმათა მოძულეობის სუნი უდის, არ არის საქვეყნოდ გასატანი. ამისთანა საქმე არ უნდა გახ-

---

[1] შირაქიდან ვაჟას ხშირად სწერდნენ ამა თუ იმ საკითხზე, რჩევ-დარიგებისა და დახმარებისათვის. მის პირად არქივში დაცულია ორი ასეთი ბასიათის წერილი, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ:

არწივო, მთის წვერზედ მჯდომარე, ნეტავ როგორ რასმე ხარ, ან როგორ ცხოვრობ ბარტყებით, იცოდე კარგად ყოფნაი შენს ძმასაც ეამებაო, ზოგთა უთქვამავსთ თუშებსა, ვაჟას ფრანგული ვერ გასჭრის შირაქით მოღერებულიო, ქალაქით ისე მოსულა. არ უნახავს დიდი მართებელიო. ის ჩვენი თხოვნა იქ არ დაობდეს, ამას წინათ დათიკოს მივსწერე და პასუხი არაფერია, ერთი შაგვიტყე რამე, თუ, ალდგომებამდინ პასუხი არა იქნა რა, მაისამდენ ისევ ჩამოსვლა მოგვიხდება. ნეტავი ერთი მთავარმართებლისთვინაც მიგვეცა. თუ რამე გაბედო ან შეიტყო, მომწერე-შენი კეთილი გულის ამბავი ვიცი, ვაჟო, შენი ძმობილი ლეო წინანდალში მირავი პასლედნიკთან წავიდა, ერთი შენებრ წერილი მიაწერე, მე დან შენ სასმელს უნდა უფრთხილდეთ, სხვა არასი გვეშინოდესოქო. წინანდალში, გამიგონია დიდი გუბეები დგას, ვაცსაც ახრჩობს კამეჩებსაცათქო. ჩვენც კარგადა ვართ, ღვთის მოწყალებით, თქვენი კეთილის მოსურნე

ივანე ღვთისავარის ძე ციხკარაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს თავის დღეში საგაზეთოდ, არამედ უნდა შინაურულად გამოკეთდეს. ხომ მოგეხსენებათ, საქვეყნოდ გატანილს საახალოხეს პერანგი აღარ გამოდის. დღეს რა გაეწყობა, უნდა გავიხსენო ის უმსგავსი საქმე, რამაც მე ძალაუნებურად ქედელების ვექილად გამხადა. თურმე თუშებს არ გაეშოთ სათიბრად ქედელები შირაქში, გათიბული თივები ჩამოერთოთ ადმინისტრატიულის წესით და საჯაროდ გაეყიდათ. ამ ნიადაგზე უნდა შეტაკება მოეხდინათ და გარეშე პირებს ხელი მოეთბოთ. ღვთის მოწყალებით, ეს არ მოხდა და დღეს ქედელებს თიბვის ნება აქვთ შირაქში. მარიამობის თვეში მოვიდა ქედში ეგრედწოდებული მიწისმფლობელობის მომწყობი კომისია; ამ კომისიის მუშაობისათვის თვალყურის დევნება და საჭირო თხოვნების

ძმაო ლუკავ!

პირველად მოგიკითხავსთ, თავისი უმცროსი ძმა და მეგობარი, ვთხოვ თქვენს კეთილად ცხოვრებასა და მარავალჟამიერ სიცოცხლესა კაცთ შემომქმედსა, და თუ ჩემს ამბავსაც იკითხავთ, მეც ამ წერილის დაწერის დროს ძალიან კარგადა ვარ, მაგრამ ჩემი კარგად ყოფნა სულ დაფარულია ამ ქვემოხსენებული ამბების გამო. ახლა ყური მიგდე და გიამბობ დაწვრილებითა: ჩვენ ქედის ახალშენა მოსახლეს მოგვივიდა ერთი უბედური განკარგულება, ჩვენ უმამულო და ამშლიშოშ [ამ სიშორით?] აყრილ ხალხს, ისევ ისეთ მამულებს გვინიშვნენ და გვაძლევენ, როგორც არი ხაშურის თავი, რომლისაც უსარგებლოებას გამოვექეცით, სადაც ხალხმა ისურვა და პირველთვე დადგა და გაიმართა თავის შეძლების დაგვარად თავიანთი თავშესაფარი, შეიმუშავეს ზოგმა ვახი, ზოგმა ნამყენი, სასოფლოდ წყლები და გზები. ამათ ყველას ჯანი გაკარდეს, შენობასაც, გზასაცა, წყლებზედ ფულის დახარჯვასაც, მაგრამ მაინც ჩვენ დაგვაშორეს ბუნებითვე გამომდინარე წყლებს, რომელსაც ხალხი შეჩვეული იყო და მოგვცეს უდაბნო, რომელსაც ჩვენი ხალხი ვერ აიტანს და ვერც საქონელი, პირველი—სიშორე წყლისა, მეორე—შეურგებლობა, და შეიძლება, ამ სამ წელიწადში თუ ეგრე დარჩა და ამ თავი-თვე არ გასწორდა საქმე სოფლის სურვილისამებრ, კიდევ გადარჩეს ორას ორმოცდა თექვსმეტი კომიდან ოთხჯოცდა ხუთი კომლი და დანარჩენიც შემდეგში.

ახლა, ძმაო, შემდეგში ჩემი თხოვნა თქვენდამი რა არი: საცა აქამდე აწარმოვეთ და ეს ორი სოფელი თქვენი წყალობით დასახლდა, გეხვეწებით მალე მოხედოთ ამათ გაჭირვებასა, ესაც რომ ჯერ არ არის საქმე სასულ ძალაში და ძალიან ადრე კეთილ საიმედო კაცი ძალიან საჭიროა. თუ შეიძლება და ამ წერილის მიღების შემდეგ მე მნახავთ, ამ წლის აპრილს ნახევრამდე ჩემ ბინაში, ძალიან დაწვრილებით გაგაგებინებთ სულ ყველასა ხოლოდ გთხოვთ, ამ დრომდე არაფერი შირაქის შესახებ ეცადეთ რომ მთავრობის მხრივ ძალაში არ შევიდეს დრომდე, და მერე მეევლება, მოუაროთ ჩვენ საქმეს, გთხოვს, გეხვეწება თქვენი პატარა ძმა და შეგირდი **კარატიელი ქუმსიაშვილი** ბევრი და ათასი სულ ერთია 1909 წელსა მარტის 24 დღესა მშვიდობით.

[ორივე წერილში მართლწერა ავტორებისაა, იხ. საქ. მუზ. ხელთნაწ. განყ. S 5321].

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეტანაც მე მომანდეს. კომისიის მუშაობა ჯერ არ დამთავრებულა, ზოგიერთი საკითხი შეუმუშავებლად არის დარჩენილი. სხვათა შორის, 302 დესეტინა, რომელიც მისცა კომისიამ ქვემო-ქედელებს სოფლის, ახლო და ბოლოზე მოუჭრა, დღეს ეს დამტკიცებულ პროექტად ითვლება, რის გამოც აგენტი სახელმწ. მამულებისა ქვემო-ქედელებს ტყუილადა სთხოვს და აწიოკებს. საცოდავ ქედელებს ხვნის დროს ხვნას უშლიან ამ ნაჭერზე და წელს ძნაც კი თურმე დაუკეტეს.

შარშან შირაქში 300—400 ვერსის სიშორიდან სამჯერ მომიხდა ჩასვლა, ხან ცხენით, ხან ფეხით. წელს მეოთხეთ ჩავედი. ალბათ აქედან წარმოსდგა ის ცილისწამება, ვითომც მე ფული ჩამომერთოს ქედელებისთვის და კი ალარ ჩამოვსულვიყავ?

შარშან პირველად რომ ჩამოვედი ქედში ხალხს ჩემთვის დიდძალი ფული დაემზადებინა—2.400 მან., მაგრამ მე ამ ფულიდან მხოლოდ 800 მანეთი ავიღე და დანარჩენი ისევ უკან დავუბრუნე. ავიღე იმიტომ, რომ თავად ღარიბი კაცი ვარ და სხვაც რომ არა ვსთქვათ, გზას, მისვლა-მოსვლას დიდი ხარჯი სჭირდება.

ჩემს მოკამათე „მეთვალყურეს“ კი იმას მოვახსენებ, მოვახსენებ პირველ და უკანასკნელად: მე რომ ხალხისათვის ფულების დატყუვნაზე მევლო, ს. ჩარგალში საქათმეში არ ვიცხოვრებდი და დაგლეჯილი ჩოხით და ჩუსტებით არ ვივლიდი; ფიზიკური მუშაობით ხელებზე და ზურგზე ტყავი არ მექნებოდა გადამძვრალი.

ამით ვათავებ ყოველგვარ კამათს ამ საგანზე, როგორც „მეთვალყურეებთან“ ისე გაზ. „ხმა კახეთისა“-სთან.

(გაზ. „სახალხო ფურცელი“ 1914 წ. № 132)

* * *

ვაჟას შირაქში გამგზავრებისას, თელავში გაევლო გზად. ადგილობრივ ინტელიგენციას უთხოვნია, რამდენიმე დღით დარჩენა და მათთან დროს გატარება, მაგრამ ვაჟას მკვახედ უპასუხნია:

„დასარჩენად სადა მცალიან, ფშავლები ალბათ აქ მიცდიან, შირაქში უნდა წავიდეთ საძოვრების საქმის მოსაგვარებლადაო. წამოიკიდა პატარა ხურჯინი მხარზე, ამოიდო იღლიაში ნაბადი და გასწია რიყისკენ თავის ფშავლების საძებნელად“.

(ვ. პაატაშვილის მოგონებიდან, გაზ. „კოლმეურნის ხმა“ 1935 წ. № 95)

ასე თავგამოდებით ემსახურებოდა ვაჟა შირაქის ახალშენის მოგვარების საქმეს, სადაც დღეს ერთერთი მოწინავე „ქვემო ქედის“ კოლმეურნეობა არის გაშენებული.